



საპენსიო ფონდების საინვესტიციო სტრატეგიების წარმატებული
პრაქტიკები და საქართველოს
საპენსიო რეფორმისთვის ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევა

მარიამ თოფჩიშვილი

თამარ ხომერიკი

ჯაბა ფუტყარაძე

ჯგუფი # 2

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ბიზნეს სკოლის
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ თოფჩიშვილი

თამარ ხომერიკი

ჯაბა ფუტყარაძე

18.06.2018

რეზიუმე

ნაშრომი ეხება სახელმწიფო საპენსიო სქემას საქართველოში. საპენსიო გეგმა ნებისმიერი ინდივიდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური გეგმაა, რადგან ის უზრუნველყოფს ინდივიდს შემოსავლებით საპენსიო ასაკის შემდგომ. ამასთან, საპენსიო ფონდის ეფექტურობის და ინდივიდის ადეკვატური შემოსავლებით უზრუნველყოფა, დიდ წილად დამოკიდებულია სწორი საინვესტიციო სტრატეგიის შერჩევაზე.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს საპენსიო სისტემის პრობლემები და გამოწვევები, ასევე შემოთავაზებული ინდივიდუალური დაგროვებითი განსაზღვრული შენატანების საპენსიო რეფორმის დეტალები.

მოცემული კვლევის ძირითადი თემაა საპენსიო ფონდების საინვესტიციო სტრატეგიების კვლევა და ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევა საქართველოს საპენსიო სქემისთვის. აქცენტი გაკეთებულია განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემაზე და დაგროვების პერიოდში აქტივების ოპტიმალურ განაწილებაზე.

ნაშრომში განხილულია საინვესტიციო პროცესის ძირითადი ელემენტები. ასევე მოცემულია ორი ალტერნატიული საინვესტიციო სტრატეგია: სასიცოცხლო ციკლის სტრატეგია (LC) და მუდმივი პროპორციის პორტფელის დაზღვევის სტრატეგია (CPPI). განხილულია აღნიშნული სტრატეგიების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

კვლევა ასევე მოიცავს რაოდენობრივ ანალიზს. თითოეული საინვესტიციო სტრატეგიის დაშვებების და შეზღუდვების ჭრილში მოხდა სხვადასხვა კლასის აქტივების ოპტიმალური წონების განსაზღვრა. რაოდენობრივი შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საპენსიო რეფორმისთვის მუდმივი პროპორციის პორტფელის დაზღვევის სტრატეგია უკეთესია სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიასთან შედარებით.

ძირითადი სიტყვები: პენსია, საინვესტიციო სტრატეგია, აქტივების განაწილება, რისკების მართვა, სასიცოცხლო ციკლის სტრატეგია, მუდმივი პროპორციის პორტფელის დაზღვევის სტრატეგია, განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემა, დაგროვების პერიოდი

Abstract

This master thesis covers public pension scheme of Georgia. Pension plan is one of the key financial plans for individual, as it provides with financial support after retirement. Efficiency of pension plan and provision of individual with adequate financial income mostly depends on optimal investment strategy.

The master thesis reviews current public pension scheme in Georgia, its problems and challenges. It also describes details of offered individual accumulating defined contribution pension plan reform.

The main research topic is best practices of pension plan's investment strategy and selection of optimal strategy for pension reform of Georgia. The focus is on defined contribution pension schemes and optimal asset allocation during accumulation phase.

The master thesis discusses the key elements of investment process. It also reviews two alternative investment strategies: Life Cycle Strategy (LC) and Constant Proportion Portfolio Insurance Strategy (CPPI). The benefits and deficiencies of each strategy are also covered.

The research includes quantitative analysis. The optimal weights for asset classes were defined under assumptions and limitations of each investment strategy. Based on quantitative comparison, it can be concluded that, CPPI strategy is better than LC strategy for Georgia's pension reform.

Keywords: Pension, Investment Strategy, Asset Allocation, Risk Management, Life Cycle Strategy, Constant Proportion Portfolio Insurance Strategy, Defined Contribution Pension Plan, Accumulation Period